



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49222734

თარიღი:30/09/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №114**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



**ანგარიში**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის**

**ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის I და II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

2022 წლის I და II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მშენებარე ობიექტების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 10 სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან სოფელ ქვიტირში სანებართვო პირობების დარღვევის გამო დაჯარიმდა 5 ობიექტი. უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა ქვიტირში-2, მალლაკში-1, ბანოჯაში-2 ობიექტი, ათივე დამრღვევის მიმართ გამოყენებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, რომლის საერთო ოდენობამ შეადგინა 9600 (ცხრაათასექვსასი) ლარი.

ქალაქ წყალტუბოში ლ. ავალიანის ქუჩაზე სამხატვრო გალერიის წინ აღკვეთილ იქნა გარე მოვაჭრეთა უკანონო ქმედება. მათთვის შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული ფართი და აღნიშნულ ტერიტორიაზე მოხდა სკვერის მოწყობა.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა წერილობითი გაფრთხილებების ფორმა, რომელიც დაურიგდა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება. გადაუხდელობის შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები და სარჩელი შეტანილი იქნება სასამართლოში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაზიანებების და იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან და შსს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოსთან, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის დაჯარიმდა ავტონაწილებით მოვაჭრე პირები და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

ზედამხედველობის სამსახური, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“-სთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. 2022 წლის I და II კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 78 613 ლარი. მათ შორის იურიდიული პირებიდან - 65 313 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან - 13 300 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ რომელიმე კონკრეტული შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის. ასევე სამსახური განიხილავდა წერილებს, რომლებიც შემოსული იყო მოქალაქეებისაგან, სხვადასხვა დაწესებულებებისაგან და ორგანიზაციებისაგან.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სამსახურებთან, რაც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად მოხდეს წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრა.